№ 27, თბილისი, 1943 წ. გამოცემის წელი XX, გამომცემლობა „კომუნისტი“. ფასი 50 კ.

# ნიანგი

ჟღაზარაღებული

ნახ. გ. ისაევისა

„წითელი ჯარის ორიოლთან გამარჯვება ეს არის კიდევ ერთი დიდი ლურსმანი ჰიტლერიზმის კუბოში ჩაჭედილი...“ („დეილი სკეტჩ“)



ყვავი (ჰიტლერს)—ადოლფ, ნუ ღრიალებ, შენ თუ თავს დასტირი, ჩემიც იკითხე: იმედი მქონდა სახრჩობელაზე აგიყვანდნენ და შენი ლეშით გამოვძღებოდი. ახლა კი კუბოში ჩაჭედილი შენ გახდები მხოლოდ ჭია-ღუების კერძი...

# ავაზაკთა ოინები

ჰიტლერელებმა ღრიანცელი ასტეხეს იმის შესახებ, რომ თითქოს მათ შემთხვევით აღმოაჩინეს ქ. ვინიცის გარეუბანში მასიური სასაფლაოები.

გაზეთებიდან

ნახ. პოდოლიაკისა



შეიქრობს ამ ბოდვით ის ქვეყანას
აუხვევს თვალსა,
მაგრამ ყველა სცნობს ავაზაკის
სახეს და კვალსა.

# დიაგნოსტიკა

ბერლინელი კორესპონდენტები გადაკვრით აღნიშნავენ, რომ ჰიტლერი თავს ცუდათ გრძნობს.

დაავადებულ კანცლერის საწოლთან ექიმთა კონსულიუმი გაიმართა, „ფიურერი" მძიმე ავად იყო. რა სახელი უნდა ეწოდებიათ მისი ავადმყოფობისათვის? ექიმებს პირველ რიგში ეს საკითხი აინტერესებდათ.

— მელანქოლიური სახის ავადმყოფობაა „ბლიც-კრიგუს ჩანაცლავუს" წარმოსთქვა ერთმა.

— პულვერუს სტალინგრადუს (სტალინგრადის ჭრილობა) აწუხებს. თქვა მეორემ.

— არც ეგ არის გამორიცხული, მაგრამ ამ მომენტში უფრო გამომჟღავნებული მეჩვენება ახალი სენი,—„არიოლუს გაფრენილუს"—ჩაერია მესამე.

— და „ბელგოროდუს დაკარგულუს"—დაუმატა მეოთხემ.

— ხშირად რომ ბოდებს ამ ფსიქიურ დაავადებას რა ვუწოდოთ.

— „ვაიმე ბრიანსკუს"!

— „ვუიმე ხარკოვუს"!—ერთხმად წამოიძახა ორმა პროფესორმა.

— მადა სულ არა აქვს. ამ სენს რაღა ჰქვიან?—მოკრძალებით თქვა „ფიურერის" ერთმა ახლობელმა.

— „აჩრდილუს მუსოლინუს" და „ტირილუმ აბ სიცილუმ გაფრენილუმ".. განმარტა მოხუცმა მკურნალმა.

— ყველაფერი მართალია, მაგრამ ავადმყოფობის მთავარი მიზეზის დასახელება მაინც საჭიროა უამისოდ გარკვეულ დიაგნოზს მაინც ვერ მივიღებთ.—განაცხადა მთავარმა მკურნალმა და თან დაუმატა:

— მთავარ მიზეზს კი ავადმყოფობის ისტორია მიგვაგნებინებს.

დაავადებულის სასთუმალთან მართლაც ეკიდა ავადმყოფობის ისტორია, რომელზეც გარკვევით ეწერა:

„სსრკ—ზე საზაფხულო შეტევის ჩაშლა".

ს. ისარიძე

# კითხვა-პასუხი

### კითხვა

ამხ, ნიანგო! მე ვარ კოლმეურნეობის ყოფილი მოანგარიშე და ამჟამად წითელ არმიელი, ამ დღეებში ყუბანის გაღმა რამდენიმე ფრიცი დავხოცე, ჩემი ხელობიდან გამომდინარე მატით, მე შეთავსებით დავალებული მაქვს აღრიცხვის წარმოება, მაგრამ არ ვიცი დახოცილი ფრიცები რომელ დავთარში შევიტანო შემოსავალში თუ გასავალში?

### პასუხი

ფრიცები ჯერ გასავალში გაუშვით და შემდეგ შემოსავალის დავთარში, შეიტანეთ.

### კითხვა

ამხ. ნიანგო! გამართლდა თუ არა ჰერინგის დაპირება: აღთქმას ვიძლევი რომ გერმანიას ერთი ყუმბარა არ დაეცემაო?

### პასუხი

გამართლდა, არც ერთი მოკავშირის საჰაერო ძალა არ გამცდარა ჰერმანიაზე ერთი ყუმბარის ჩამოსაგდებათ. პირიქით, მასირებულ თავდასხმებს აწყობენ და „არიელების" „საარსებო სივრცეს" ათასობით აყრიან ყუმბარების წვიმებს.

### კითხვა

როგორ განიცდის „ფიურერი" ბერლინის ბომბარდირების გახშირებას?

### პასუხი

ღრმად, მეტად ღრმად განიცდის: ხის ღრმად გამოთხრილ თავშესაფარში ცა ფიქრობს... თავშესაფარზე.

---

მ. ზოშჩენკო

# „კატუშა"

ჩვენს მიწურში ხანდახან პატეფონიც უკრავდა, მთელი ჩვენი გუნდი უსმენდა მუსიკას. გერმანელებიც გვისმენდნენ. ჩვენს მებრძოლებს განსაკუთრებით იტაცებდა „კატუშა". გერმანელებსაც მოსწონდათ ეს სიმღერა. მათ არა ერთხელ დაუკრავთ ტაში და ზოგიერთები კიდეც აყვებოდნენ და მღეროდნენ. ერთხელ მებრძოლებს მოესმათ რეპროდუქტორის საშუალებით.

„ეი, რუსებო, დიდი ხანია „კატიუშა" არ გვსმენია. ერთმა მებრძოლთაგანმა სთქვა: „თუ ასე ძალიან უნდათ მაგ წყეულებს—ჩვენ „კატუშას" აღარ დავუკრავთ, როგორ მათ ჩვენ სიამოვნება უნდა ვაგრძნობინოთ, როცა ისინი ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს ცეცხლს უკიდებენ, როცა ისინი ხოცავენ ჩვენს ძმებს, ცოლებსა და ბავშვებს. მებრძოლებმა ეს პლასტინკა პატეფონიდან ამოიღეს. სამაგიეროდ მეორე დღეს ფრონტზე მეორე „კატუშა" მიიღეს, რომელიც ისე „მღეროდა", რომ გერმანელებს დაავიწყდათ სხვა მოტივები.

# თავდასხმა

დღის 12 საათზე ბერლინის შუა ბაზარზე ერთ მოხუც ქალს თავს დაესხა ორმოცამდე ქალი ძუძუმწოვარა ბავშვებით. თავდასხმის ადგილას სასწრაფოდ გამოცხადდა პოლიციელები, რომლებმაც ძლივს გამოგლიჯეს ხელში საწყალი მოხუცი გამძვინვარებულ ქალებს. როგორც დაკითხვიდან გამოირკვა თავდასხმის მიზეზი ყოფილა ბავშვის ერთი ცალი ძველი დაგლეჯილი საწოვარა, რომელიც გასაყიდად გამოუტანია მოხუცს და ვინაიდან ახალი განკარგულების გამო, ბავშვის საწოვარას ყიდვა მაღაზიაში ძველის წარდგენის გარეშე ყოვლად შეუძლებელია, ამიტომ ქალების იერიში, როგორმე ჩაეგდოთ ხელში ეს იშვიათი სანახავი ნივთი, გამოწვეული ყოფილა ყოველგვარ ბოროტ განზრახვის გარეშე.

თარგ. ხ. ე.

# „საწყალი" ბენო ჩიოდა

(ხალხურ კილოზე)

„საწყალი" ბენო ჩიოდა:
ვრ მომივიდა ძილია,—
აფრიკის ველებს, ბალკანეთს,—
ყველას გავკარი კბილია.

ნიცასაც წავეპოტინე
ვთქვი—ნაქაფავი ტკბილია,
ომს ვადმერთებდი, მშვიდობას
გამოვუთხარე ძირია.

მაგრამ ვის შერჩა ამ ქვეყნად
გადახდა სოფლის ვალისა?
მომცხეს და ვერც კი მოვასწარ
დახამხამება თვალისა..,

სულ „ფიურერის" ბრალია,
მისგან მაცვია შავები,
მისი იმედით შევტოპე,
თავით მახეში გავები,

ბედმა გამსრისა, ისე, ვით
მწერი, ან ქვეწარმავალი ..
სხვები ელოდეს უარესს
ჩემ გზა და კვალზე მავალი.

მ-ზა

# დიალოგი

ნახ. გ. ისაევისა



— ჰანს! რომელი საათია?
— ჩემთვის, ვატყობ, უკანასკნე

# ფრონტის იუმორი

## ძაღლების ამბავი

— შენ ვისი სიკვდილის გამო ატარებ შავებს, ტრეზორ? ნუ თუ ბატონ ფრიცსა ჰგლოვ, რომელიც აღმოსავლეთის ფრონტზე?
— არა, ჩემს დეიდას ჯოგის ძაღლს მგლოვ, რომელიც შესჭამა თვით ბატონმა ფრიცმა.

(„მებრძოლი“)

## გერმანელთა საუბარი

— რატომ არის, რომ შენ ასე განუწყვეტლად ისვრი? ჯერ ხომ რუსები არსად ჩანან.
— პოლკოვნიკმა ბრძანა ვიბრძოლოთ უკანასკნელ ვაზნის დახარჯვამდე, აი ამიტომ არის, რომ ვჩქარობ, რომ ვისროლო ყველა ვაზნა სანამ რუსები გამოჩნდებოდნენ.

(„მტრის გასანადგურებლად“)

## ჰანსის სურვილი

— რომელი გენერალის არმიაში ირჩევდი სამსახურს, ჰანს?
— ფონ-პაულიუსის.
— კი მაგრამ ის ხომ ტყვედ არის!
— სწორედ იმიტომ მსურდა მის ნაწილში ვყოფილიყავი.

## გერმანული სიზუსტე

— შენ გაიგე, კურტ? საწყალმა ჰანსმა დასტოვა თავი სწორედ ამ სოფელში საიდანაც ეხლა ჩვენ გავრბივართ...
— მერე რა, მას მხოლოდ ზუსტად შეუსრულებია ბატონ ობერ-ლეიტენანტის ბრძანება: უკანდახევის დროს დასტოვეთ ნივთები, რომელნიც არ წარმოადგენენ საჭიროებასო.

## დღეს გებელსი სხვა რიგ ჰგალობს...

დღეს გებელსი სხვარიგ ჰგალობს
გაანება თავი „ბლიცებს“.
„გაუძელით გაჭირვებას!“ —
ჩასჩიჩინებს იგი ფრიცებს. —
„გაუძელით შიმშილს, რაა
არიელს რად უნდა პური,
სულიერი საზრდო სჭამეთ,
ჩვენს რადიოს უგდეთ ყური.
იქნებ ბედსა არ უყვარდე
ცხოვრებამ არ გაგალაღა,
ტანსაცმელი შემოგაცვდა,
თანაც ფეხზე არ გაქვს წაღა, —
გაუძელით არი... ...,
თქვენ წუწუნი არ გაბედოთ.
ფიურერის გულისათვის
თავი უნდა გაიმეტოთ.
ან დასტოვეთ გერმანია,
შორს გაფრინდით, როგორც ჰესი,
ან უძელით, შეითვისეთ
პერმანენტულ თმენის წესი“.

**მ. გრიგალიძე**

# ფვირთი შეუმსუბუქდა

ნახ. ვ. გორიაევისა

(„კროკ“)

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ფიურერისთვის მძიმე ტვირთია ფიქრი ყველა ჯარისკაცების მაგივრად.
— ახლა უკვე საგრძნობლად შეუმსუბუქდა. ადრე, მაგალითად, მას უნდა ეფიქრა ჩვენი დივიზიის ყველა ჯარისკაცების მაგივრად, ახლა კი დივიზიისაგან მხოლოდ ერთი ასეული დარჩა.

# „თბილსათბობი“ და ნავთის ქურდები

ამხ. ნიანგო! აი ერთერთი აღმაშფოთებელი შემთხვევა „თბილსათფობის“ მუშაობიდან:

31 აგვისტოა. დღის 5 საათი. ნავთის წერტებში გაკრულია განცხადება:

„1 სექტემბრიდან აგვისტოს ნავთი არ გაიცემა“.

აგვისტო ჯერ კიდევ არ გასულა და წერტები ნავთს აღარ არიგებენ. ამიტომ განცხადება მოქალაქეებს „ორცეცხლშუა“ აყენებს:

— დღეს გვერგება, მაგრამ არ გვაძლევენ, ხვალ არც გვერგება და ვერც მივიღებთ! — ამბობენ ისინი. ამ დროს პეროვის ქუჩაზე ჩნდება „თბილსათბობის“ ნავთის ორი ტრანსპორტი: ერთ მათგანს აწერია ნომერი 32, მეორეს 80. პირველს შუახნის „ხახეინი“ ჰყავს, მეორეს ბიჭი მიაცილებს.

— მოგვეცით ნავთი! — მიმართავენ მოქალაქენი.

— არ იყიდება, გარაჟში მიგვაქვს!

მოქალაქეთა განმეორებით თხოვნაზე უფროსი მენავთე ძველ კლაბრული აქცენტით დედას იგინება.

მაინც არ მოეშვნენ და აედევნენ მოქალაქენი:

— ვნახოთ რომელ გარაჟში მიიტანს, — ამბობდნენ ისინი.

უფროსმა მენავთემ „სტრატეგიული მოსაზრებით“ ყაზბეგის ქუჩაზე შეუხვია, იქიდან პეტრიაშვილის ქუჩაზე „გაიჭრა“ და პირდაპირი მიმართულება აიღო. აქ მას შეუერთდა ყოფ. წყნეთის ქუჩით წასული მეორე მენავთე და ორივემ თავიანთი ლანძღვა-გინების არსენალიდან ახალი და „გადამწყვეტი“ იერიში მიიტანა მოქალაქეებზე.

— ტყუილა ცდებით, არ გაიყიდება! სამხედრო საწყობში მიგვაქვს — განაცხადეს მათ და გინებას მოუხშირეს.

— ანგარიში დაებნათ: ჯერ გარაჟს ასახელებდა, ახალა კი „სამხედრო საწყობში“ მიაქვს. ამ უბანში კი არც ერთი არ არის.

— მოპარულია! ნამდვილად მოპარული!

— ქაფის ქაფია და სადღაც უნდათ კერძოდ გაასაღონ ან ვისთანმე მიმალონ, — ამბობდნენ მოქალაქენი.

ამ ორომტრიალში უმცროსი მენავთე, „თავის დააძვრენად“ სწრაფი ტემპით დაიძრა სასაფლაოს „მისახვლელებისაკენ“, მაგრამ შემთხვევით მიმავალმა მილიციელმა შეაჩერა და საქმის გამორკვევის შემდეგ აიძულა ნავთი გაეყიდა. მეორემ ლარსის შესახვევზე გადაუხვია და ჩიხში მოექცა. ერთხელ კიდევ გააფრთხილა მოქალაქეები, რომ ნავთს არ გაყიდდა, ერთხელ კიდევ შეიგინა და ამის შემდეგ დაიწყო ვითომდა „გარაჟში“ და „სამხედრო საწყობში“ გატანებული ნავთის მოქალაქეებზე დარიგება.

ეს მაგალითი უეჭველყოფს იმ მოვლენას, რომ თბილსათბობში თბილად გრძნობენ თავს ნავთის ქურდები.

საინტერესოა, რას იტყვიან ამ ფაქტის შესახებ „თბილსათფობელები?“.

ს. გ-ძე.

# ე ღ ვ ა

## შეხვედრის პრობლემა

**რომი.** ზოგიერთების აზრით ვინაიდან დუჩეს გადადგომის წინ მუსოლინის და „ფიურერის“ შორის „შავმა კატამ“ გაირბინა, მათი შეხვედრა ალპის მთის კალთებთან მოსალოდნელი აღარ არის. სამაგიეროდ რომის პაპის აზრით სავსებით მოსალოდნელია მოკლე ხანში მათი შესვლა ... საიქიოში.

## ფრთოსანი მატარებელი

**პრაღა.** მატარებელი, რომელსაც მიჰყავდა ბერლინიდან აღმოსავლეთის ფრონტზე გაგზავნილი ესესელთა ათასეული, ჰაერში აფრინდა ... სპეციალისტები ამას ხსნიან იმ მოსაზრებით, რომ პარტიზანები მუდამ ხელს უწყობენ გერმანიის სახმელეთო ტრანსპორტის საჰაერო გადაქცევას.

# სტუმარ-მასპინძლობა

ა ნ უ

როგორ ხვდებოდნენ სამხედრო დახმარების, გამოთხოვ[ი]ს მიზნით გერმანიაში მივლინებულ იტალიის ელჩს ბერლინში.

(ჰემის მიხედვით)

ჰიტლერი თავს არიდებდა იტალიისადმი დახმარებას საბჭოთა ფრონტზე განცდილ მარცხის გამო.

(გაზეთებიდან)

ნახ. დონისა



1. —ვერ წარმოიდგენთ როგორ ხასიამოვნოა მერ, თქვენი მობრძანება, არ ვიცი რით გამოვხატო ჩემი აღტაცება. დავუკრავ თქვენი ქვეყნის განთქმულ კომპოზიტორის მუსიკას „შეხვედრას“.
— გმადლობთ, მაგრამ ამ მომენტში მე უფრო მაინტერესებს..,



2 —ვიცი, ვიცი! იტალია სამშობლოა ხელოვნებისა. თქვენ ალბად ქანდაკებ[ით] გაინტერესებთ. აი, ინებეთ! ეს არის ახალი ქანდაკება „გალვიძებული იტალია“. ნუ მორცხვობთ, ახლოს გასინჯეთ.
— გმადლობთ, მაგრამ მთელი ჩემი ყურადღება...



3. —ვიცი, ვიცი! მხატვრობის უკვდავ ძეგლებისაკენ არის მიმართული!.. აი ჩვენი არიელი მხატვრის ახალი ნიმუში. „არიელი ქალი უარს ეუბნება არაარიელ საქმროს“. ხომ ჩინებულია?
— კი მაგრამ, მე მაინტერესებს...



4. —ვიცი, ვიცი! მუსიკა, სიმღერებით! აი, მოისმინეთ! ისინი მთელ დღეს ას[ე] გამღერიან ღვთაებრივ ჰიმნებს ღერძის სახელმწიფოების მტკიცე კავშირის ხადი[ს]დებლად.
— მე მაინტერესებს სამხ...



5. —მივხვდი.., მივხვდი, სამხედრო მოქმედების ახალ თანამედროვე არიულ პოეზიაში. აი ჩემგან შექმნილი ნიმუში! დასტკბით!
— არა, მე მაინტერესებს გერმანიის მიერ იტალიისადმი სამხედრო დახმარების საკ...



6. —რაო? რა სთქვით... ღმერთო!.. რა გემართებათ... თქვენ მეტად მოქანცული ხართ... თავის ტკივილიც გემჩნევათ... მოისვენეთ და შემდეგ განვაგრძოთ საუბარი პოეზიისა და ხელოვნების შესახებ.


ხარიდაქციო კოლეგია.

Тбилиси. Сатирико—юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1943 წ. 16 IX. ამხ. ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გამომც. № 30 შეკ. № 1036. უე 7323